ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემები საქართველოში

დალი ბერუაშვილი,

მანანა გოგუა,

მაგდა კაპანაძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას

სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,მედიცინის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: დალი ბერუაშვილი

მანანა გოგუა

მაგდა კაპანაძე

თარიღი: 15.06.2018 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება საქართველოში ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემების იდენტიფიცირებას და ამ პრობლემების წარმომშობი მიზეზების კვლევას. ვინაიდან ოჯახის ექიმი პირველადი ჯანდაცვის სერვისების ძირითადი მიმწოდებელია, ხოლო პირველადი ჯანდაცვა ზოგადად ჯანდაცვის სისტემის საძირკველს წარმოადგენს მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნას ჩვენს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე ოჯახის ექიმთან (ამბულატორიული) მიმართვიანობის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი მაჩვენებლის განმაპირობებელი მიზეზები. საკითხის კვლევის აუცილებლობას ამყარებს ის ფაქტი, რომ პირველადი ჯანდაცვის ადეკვატური უტილიზაცია პირდაპირ აისახება ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჯანდაცვის დანახარჯების ეფექტურობაზე.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები, ნახევრად დახურული კითხვარით გამოკითხული იქნა თბილისის ამბულატორიულ ცენტრებში მომუშავე 20 ოჯახის ექიმი და დახურული კითხვარით გამოიკითხა 300 მომხმარებელი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის კუთხით დღემდე არსებობს რიგი პრობლემებისა, ამ პრობლემებს შორისაა ოჯახის ექიმის მიმართ უნდობლობა, გამოწვეული ექიმთა არაკვალიფიციურობით, მოსახლეობის არაინფორმირებულობა ოჯახის ექიმის კომპეტენციების შესახებ, რიგების პრობლემები და ა.შ. ოჯახის ექიმების კვლევამ აჩვენა, რომ ისინი არ არიან საკმარისად მოტივირებულები, გასწიონ შესაბამისი შრომა, გარდა ამისა, მათ რიგი მიზეზების გამო ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ პროფესიულ განათლებაზე და არ შეუძლიათ საკუთარი სრულყოფა პროფესიული თვალსაზრისით.

იმისათვის რომ არსებული მდგომარეობა შეიცვალოს აუცილებელია სახელმწიფომ განახორციელოს რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირება პირველადი ჯანდაცვის აუცილებლობისა და ოჯახის ექიმის

კომპეტენციების კუთხით, უნდა გადაიხედოს ოჯახის ექიმთა ანაზღაურების საკითხები, უწყვეტი პროფესიული განათლება უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ყველა ექიმისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმი, საოჯახო მედიცინა მიმართვიანობის პრობლემები.

Abstract

This research aims at identifying the problems concerning the visits to family doctors and finding out the reasons of these problems.As the family doctor offers basic service of primary healthcare, and primary healthcare is considered to be basis of healthcare system, it is crucial to explore the causes of lower rates of doctor referrals per capita in Georgia, which is significantly lower, than in other countries.

The necessity of researching issue is strengthened by the fact, that adequate utilization of primary healthcare directly affects health condition of the population and effectiveness of healthcare expenses.

This master's research uses quantitative and qualitative research methods with partially closed questionnaire. 20 family doctors, who work at ambulatory centers,have been interviewed and closed questionnaire has been used for interviewing 300 clients in various cities or regions of Georgia.

The research result showed, that there are still several problems with regards to doctor referral. This problems include distrust towards family doctors, which is caused by unqualified staff; The lack of information about family doctor competence among population, long queues, etc. The research about family doctors, has shown, that they are not motivated enough to use more efforts. Besides, due to a number of reasons, they do not have access to continuous professional education and cannot further develop their professional knowledge.

In order tochange the current situation, it is crucial for the government to implement a number of events. The authorities should inform population about primary healthcare importance and family doctor competence. The issue of family doctor reimbursement system should be revised, continuous education should become more accessible for all doctors.

Key words: Primary healthcare, Family doctor, Family medicine, referal problems.